მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №19
2022 წლის 11 თებერვალი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ს/კ 41.09.04.094.01.508, არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართი.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტის წესით გადაცემული არასაცხოვრებელი ფართი 219.68 კვ.მ (ს/კ 41.09.04.094.01.508) დაუბრუნდეს მესაკუთრეს მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა